განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - ეკონომიკა

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

24 მარტი 2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ეკონომიკა |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია<br>კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ეკონომიკის დოქტორი<br>0311 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მანანა ლობჟანიძე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **მურმან კვარაცხელია** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ეკატერინე მიქელაძე,** დამსაქმებელი, დამოუკიდებელი აუდიტორი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ნიკოლოზ ბაგაური,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში 2015 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამა ანიჭებს ეკონომიკის დოქტორის ხარისხს; - პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს.პროგრამა ორი კომპონენტისაგან შედგება: სასწავლო 60 ECTS კრედიტი და კვლევითი 90 ECTS კრედიტი. ამასთან, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსს: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (4 ECTS); სწავლების მეთოდები და განათლების მეეჯმენტი (6 ECTS); ინსტიტუციური ეკონომიკა (5 ECTS); გადაწყვეტილებათა მიღება (5 ECTS); ეკონომიკური კვლევის მეთოდები (5 ECTS); ეკონომიკური უსაფრთხოება (5 ECTS); თემატური სემინარი -1 (10 ECTS); თემატური სემინარი -2 (15 ECTS); არჩევითი სასწავლო კურსები: კრეატიული ეკონომიკა (5 ECTS); ღია ეკონომიკა (5 ECTS); გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე (5 ECTS);პირველი თემატური სემინარი (10 ECTS); მეორე თემატური სემინარი (15 ECTS). რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს ორ კოლოქვიუმს:კოლოკვიუმი -1 - (30 ECTS). კოლოკვიუმი -2 (30 ECTS). სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას (60 ECTS), დაცვას და პუბლიკაციას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 24მარტს, პლატფორმა zoom-ის საშუალებით. ვიზიტის დროს შევხვდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის წევრებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს,დოქტორანტებს და კურსდამთავრებულებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**პროგრამა:**

●მეტწილად შესაბამისობაშია პირველ *სტანდარტთან: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან*

●მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდართან: *სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა*

● მეტწილად შესაბამისობაშია მესამე სტანდართან: *სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა*

● მეტწილად შესაბამისობაშია მეოთხე სტანდარტთან: *სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა*

●შესაბამისობაშია მეხუთე სტანდარტთან. *სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები*

რეკომენდაციები

- დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი ტრენინგით პროგრამის სწავლის შედეგების და მათი მიღწევის, გაზომვის/შეფასების მექანიზმების შესახებ;
- განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით;
- დოქტორანტებს უნდა შესთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები;
- დოქტორანტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის ჩართვა თვითშეფასების ჯგუფში;
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, აკადემიური პერსონალის სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნება და საერთაშორისო ბაზებშიასახვა;
- გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა;
- პროგრამას დაემატოს,,პროფესორის ასისტენტობა";
- გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში და კონფერენციებში;
- გაიზარდოს სტუდენტთა საერთაშორისო აქტივობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა პროექტებსა და კონფერენციებში, ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო ან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით სხვა უნივერსიტეტებთან ერთად;
- პროგრამასა და მის განვითარებაზე სრულად პასუხისმგებელი პირის შერჩევა და დანიშვნა მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით;
- ერთობლივი სემინარ(ებ)ის ორგანიზება სხვა უნივერსიტეტთან ერთად;
- დოქტორანტების ხელმღვანელების მომზადების (ტრენინგი), ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისათვის სადოქტორო პროგრამებისთვის;
- გამოიყოს დამატებითი ფინანსები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის წასახალისებლად;
- გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომ საერთაშორისო რესურსებზე და მათთვის დახმარება დისერტაციისთვის ამ რესურსების გამოყენებაზე;
- შეიქმნას სივრცე დოქტორანტებისათვის, რაც დოქტორანტებს შეუქმნის ინდივიდუალურ სამუშაო გარემოს;
- სასურველია დოქტორანტობის კანდიდატმა წარმოედგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება კვლევის მიზანი და კავშირი სადისერტაციო თემასთან;
- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ინფორმაციის სისტემატიური შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ეკონომიკის სფეროში არსებული გამოწვევების ახლებური გააზრება და შემდგომი განვითარება ეკონომიკურ მეცნიერებასა და მის მომიჯნავე დისციპლინებში არსებული ცოდნის სინთეზით. ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნით აღჭურვილი, ეკონომიკის დოქტორების მომზადება. ინოვაციური აზროვნების და სწავლების კრეატიული უნარის მქონე მკვლევარების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მეცნიერული კვლევის ჩატარება, ორიგინალური იდეების შემუშავება და პრაქტიკული საქმიანობა.პროგრამის კურსდამთავრებულები ხელს შეუწყობენ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფას, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას.<br>სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტის მე-2 პუნქტის 2.3 ქვეპუნქტში აღნიშნულია: ინტერნაციონალიზაციის მაღალი სტანდარტების ისეთი კრიტერიუმების განვითარება და ხელშეწყობა, როგორიცაა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, საგანამანათლებლო/სამეცნიერო პროექტების შემუშავება/განხორციელება და საერთაშორისო კვლევებში ჩართულობა.<br>ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული ღონისძიებების გაძლიერება აუცილებელია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ თვითშეფასების ანგარიში;<br>➢ სადოქტორო პროგრამა ,,ეკონომიკა";<br>➢ შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>➢ შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>➢ შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან;<br>➢ შეხევდრა დამსაქმებლებთან;<br>➢ შეხვედრა დოქტორანტებთან;<br>➢ შეხვედრა კურსდამთავრებულებთან;<br>➢ შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან. |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>დოქტორანტების ხელმძღვანელების სამეცნიერო სტატიები უნდა იბეჭდებოდეს მაღალინდექსირებულ ჟურნალებში მათი მეცნიერული დონის ამაღლების მიზნით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>პროგრამის ამოცანები ზოგადია, კონკრეტული ფოკუსის გარეშე. არ არის წარმოდგენილი პროგრამის მკაფიო მიზანი. პროგრამის კურსდამთავრებულების უმრავლესობა არ არის დასაქმებული პროფილით და დოქტორანტები არ არიან კვლევებში ჩართული.<br>სადოქტორო პროგრამის მიზანი უნდა იყოს მკვლევარების მომზადება, ახალი ცოდნის შექმნა და გაზიარება. აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, დაწესებულება ფლობდეს ინფორმაციას აღიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების კარიერის შესახებ, სად აგრძელებენ საქმიანობას, აგრძელებენ თუ არა სამეცნიერო საქმიანობას. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან; აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. შედეგები გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია.სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდი. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე.
პროგრამისგაუმჯობესების მიზნით განხორციელდა სასწავლო კურსების მოდიფიცირება. ცვლილებები შეეხო, როგორც შინაარსობრივ მხარეს, ასევე შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს, სასწავლო კურსების თემატიკას.
*პროგრამას აქვს 10 სწავლის შედეგი, რაც არასასურველია, 7-8 სწავლის შედეგი სრულიად საკმარისია.*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

სწავლის შედეგები იყოს მკაფიო და გასაგები, რიცხვი შემცირდეს, რათა პროგრამა იყოს გამართული სტუდენტებისა და სხვა მონაწილე მხარეებისათვის.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამისშემთხვევაში)**

| |
|---|
| ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | | √ | | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია სტუ-ის და ფაკულტეტის ვებ გვერდზე, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).<br>ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამები), სერტიფიკატების წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ.<br>სასურველია დოქტორანტობის კანდიდატს წარმოედგინა კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთებოდა კავშირი სადისერტაციო თემასთან, კვლევის მიზანი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-04/210 დადგენილებით მოდიფიცირებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა“; (დანართი 1)<br>➢ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” https://gtu.ge/pdf/wesdeba_2017_1.pdf<br>➢ დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/Science/doqt_charicxvis_pirobebi_2019.php?sphrase_id=282764<br><br>➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, მუხლი7. დოქტორანტურაში ჩარიცხვა http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_debuleba_2019_1.pdf<br>➢ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>სასურველია დოქტორანტობის კანდიდატს წარმოედგინა კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთებოდა კავშირი სადისერტაციო თემასთან, კვლევის მიზანი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად შემუშავებულია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. პროგრამა, ასევე, ემყარება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის უნივერსიტეტში შემუშავებულ სტანდარტებს. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სწავლის ხანგრძლივობაა 3 წელი. პროგრამა მოიცავს 180 ECTSკრედიტს, რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს. პროგრამა ორი კომპონენტისაგან შედგება: სასწავლო 60 ECTS კრედიტი და კვლევითი 90 ECTS კრედიტი. ამასთან, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსს: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა (4 ECTS); სწავლების მეთოდები და განათლების მეეჯმენტი (6 ECTS); ინსტიტუციური ეკონომიკა (5 ECTS); გადაწყვეტილებათა მიღება (5 ECTS); |

ეკონომიკური კვლევის მეთოდები (5 ECTS); ეკონომიკური უსაფრთხოება (5 ECTS); თემატური სემინარი -1 (10 ECTS); თემატური სემინარი -2 (15 ECTS); პირველი თემატური სემინარი (10 ECTS); მეორე თემატური სემინარი (15 ECTS). რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს ორ კოლოქვიუმს: კოლოკვიუმი -1 - (30 ECTS). კოლოკვიუმი -2 (30 ECTS). სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას (60 ECTS), დაცვას და პუბლიკაციას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, არჩევითი სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 5 კრედიტი.სტუდენტს შეუძლია აირჩიოს არჩევითი სასწავლო კურსები: კრეატიული ეკონომიკა (5 ECTS); ღია ეკონომიკა (5 ECTS); გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე (5 ECTS);თუმცა, ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტებს დიდი არჩევანი არ აქვთ.
პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ,,პროფესორის ასისტენტობა“, რაც პრაქტიკული უნარების განვითარებას მეტად გამოუმუშავებდა მკვლევარს.
მიზანშეწონილია სასწავლო კურსი ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები" კრედიტების რაოდენობაგაიზარდოს 10 კრედიტამდე, რაცსტუდენტს პრაქტიკულ გამოცდილებასაც შესძენს თანამედროვე კვლევითი პროგრამის გამოყენებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმი;
- ინტერვიუები

**რეკომენდაციები:**

მიზანშეწონილია სასწავლო კურსის ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ კრედიტების რაოდენობა გაიზარდოს (10 კრედიტი), რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ თანამდროვე კვლევითი პროგრამების გამოყენებით.
დოქტორანტებს შესთავაზოთ ,,პროფესორის ასისტენტობა“, რაც პრაქტიკულ უნარებს მეტად გამოუმუშავებდა მკვლევარს.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ყველა კურსის სწავლის შედეგები ძირითადად ემთხვევა სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგებს.ყველა აკადემიური კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აკადემიური კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსები იმართება თანმიმდევრულად, კურიკულუმის რუკის შესაბმისად. შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა მორგებულიაკურსის სწავლის შედეგებსა და თავისებურებებზე.კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს და სწორად არის წარმოდგენილი რუკაზე.ისინი აკმაყოფილებენ სტანდარტებს.
სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურაში არ არის ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დაწესებულებამ განმარტა, პროგრამა ქართულენოვანია და ამიტომ არ არის სავალდებულო ინგლისურენოვანი ლიტერატურა მითითებული, თუმცა დოქტორანტურაში მიღების წინაპირობაა უცხო ენა B 2 დონე, დოქტორანტურა გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის და ინფორმაციის გარეშე რთულად წარმოსადგენია აღნიშნულის მიღწევა.
აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების და სილაბუსების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ არჩევით სასწავლო კურსში ,,ღია ეკონომიკა" სავალდებულო ლიტერატურა მითითებულია ბლანშარი ო. მაკროეკონომიკა. თბილისი: თსუ-ის გამომცემლობა, 2010, 874 გვერდი, რომელიც არ არის დოქტორანტურის საფეხურისთვის გათვალისწინებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პროგრამები და სილაბუსები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან'
- შეხევდრა დოქტორანტებთან;

| |
|---|
| ➢ შეხვედრა კურსდამთავრებულებთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>სასწავლო კურსებში: სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი, ინსტიტუციური ეკონომიკა, ეკონომიკური კვლევის მეთოდები, ღია ეკონომიკა, გლობალური დინამიზმის თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილე, სწავლის შედეგები ძალიან ბევრია, უნდა დაკონკრეტდეს.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების სასწავლო მასალა არ ეფუძნება სფეროს უახლეს მიღწევებს, აღნიშნულიდან გამომდინარე მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოძველებულია, უნდა გადაიხედოს და განახლდეს.<br>არჩევითი სასწავლო კურსის სილაბუსში ,,ღია ეკონომიკა“ ლექციას 45 საათი აქვს დათმობილი და დამოუკიდებელ მუშაობას 76 საათი, სემინარული მუშაობა არ არის სილაბუსით გათვალისწინებული, რაც არასაკმარისად მიმაჩნია, თუმცა სილაბუსის ავტორს აქვს თავისი არგუმენტირებული მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით.<br>განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურით. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტის სამეცნიერო/კვლევითი/პრაქტიკული უნარების განვითარებას. უნარების განვითარება კონკრეტული კვლევებშიჩართულობით ყალიბდება.სტუ-ს დოქტორანტურის დებულების თანახმად, სტუდენტს ევალება: სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი, სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, ასევე, სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთი მოხსენება). უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება სადოქტორო კვლევის დროს მოგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან'
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან
- ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი;
- სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროექტებში ძალიან ცოტა სტუდენტია ჩართული, თუმცა სტუდენტთა ჩართულობა პროექტებსა და კონფერენციებში სავალდებულოა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**√მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შესაფერისი სწავლება-სწავლის მეთოდებია შერჩეული. ისინი ემთხვევა აკადემიური კურსის შინაარსს, მიზნებს და კურსის სწავლის შედეგები მიღწევადია.
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო და სხვა. პროფესორმა შესაძლოა გამოიყენოს ერთი ან რამდენიმე აღნიშნული მეთოდი, ან რაიმე სხვა მეთოდი კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის მიზნიდან გამომდინარე. კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის სწავლა/სწავლების მეთოდები მოცემულია შესაბამისი აკადემიური კურსის სილაბუსში.
პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური პროგრამა და სილაბუსები;
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა მოწვეულ პერსონალთან'
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და შეფასების ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებითF გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.<br>თითოეულ სემესტრში თითოეული საგნის შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60. შუალედური შეფასება შედგება 2 კომპონენტისაგან: მიმდინარე აქტივობა და შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15 |

ქულა, შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა - 30 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასებაა - 15. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, მინიმალური კი - 20. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. სასწავლო კომპონენტი ჩაბარებულად ითვლება, თუ დოქტორანტმა საბოლოო ჯამში დააგროვა 51 ქულა.
სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა დეტალურადაა წარმოდგენილი კურიკულუმსა და სილაბუსებში.სადისერტაციო კომპონენტის შეფასების სისტემა დეტალურადაა აღწერილი სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.
წესები გამჭვირვალე და ნათელია და შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის. იგი უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან. მათ შორის 30% არ უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები.სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობას იღებს გარე შემფასებელიც. შემფასებელი დასკვნის სახით წარმოადგენს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას და მისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობა,ანუ დოქტორანტის ორჯერ შეფასება არ მიმაჩნია მართებულად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა სტუდენტებთან;
- შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან.
- აკადემიური პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-04/210 დადგენილებით მოდიფიცირებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ეკონომიკა"; (დანართი 1);
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია (დანართი 18);
- სტუ-ს დოქტორანტურის დებულება http://gtu.ge/Learning/pdf/doqtoranturis_debuleba_2019_1.pdf
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი http://gtu.ge/Learning/pdf/danarTi_3_Sefasebis_wesi_2019.pdf

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის**

| |
|---|
| შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა | | √ | | |

## 3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ საკონსულტაციო დრო ადეკვატურია და მათ აქვთ საშუალება, განიხილონ მათი კვლევის საკითხები აკადემიურ პერსონალთან და მათ ხელმძღვანელებთან.<br>სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა. ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ |

ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ვებგვერდზე და თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. აღნიშნული პროგრამის, როგორც სტუდენტები, ასევე კურდამთავრებულები უნივერსიტეტის მხრიდან სათანადოდ არიან ინფორმირებულნი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებზე, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდის ანალიზის საფუძველზე, ინფორმაცია საკმარისადაა სხვადასხვა აქტივობების შესახებ სტუდენტებისათვის. მაგ.: განახლებადია Erasmus+ პროგრამის ჩამონათვალი, შეთავაზებული გაცვლითი პროგრამები, მათ შორის მესამე საფეხურის სტუდენტებისათვის. *თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებით აღმოჩნდა, რომ გაცვლითი პროგრამით არცერთი სტუდენტი არ უსარგებლია.*

რაც შეეხება დასაქმების მხარდაჭერას, როგორც ვიზიტისას მივიღეთ ინფორმაცია დამსაქმებლებისგან, ისინი აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნულ პროცესში. ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რამდენიმე კურსდამთავრებული დასაქმებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აქტიურადაა მხარდაჭერილი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა სტუდენტებში, მის კვლევით ცენტრში სხვადასხვა პრაქტიკული სამუშაოს განხორციელებით (კვლევითი პროექტები, სერთაშორისო მეცნიერული დასკვნების ანალიზი და ა.შ.).

სტუ-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ ინოვაციური პროგრამებითა და სწავლის ინოვაციური მეთოდებით დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებულების პროფესიით დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, რაც კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებით არ დასტურდება. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან გამომდინარე მათი დასაქმების მაჩვენებელი კვალიფიკაციის შესაბამისად არის ძალიან დაბალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა "ეკონომიკა";
- შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- შეხვედრა დოქტორანტებთან;
